

## მასობრივი კომუნიკაცია და საზოგადოებასთან ურთიერთობა

ქართულ-ფრანგული სამაგისტრო პროგრამა მასობრივი კომუნიკაცია და საზოგადოებასთან ურთიერთობა შეიქმნა პარიზის ჟურნალიზმის უმაღლეს სკოლასთან ერთად. ის ხორციელდება ორ ეტაპად: პირველ წელს (I და II სემესტრი) სტუდენტი ისწავლის გრიგოლ რობაქიძის უნივერსიტეტში, მესამე სემესტრს გაივლის პარიზის ჟურნალიზმის უმაღლეს სკოლაში, ხოლო პროგრამას დაასრულებს გრიგოლ რობაქიძის უნივერსიტეტში. პროგრამა უზრუნველყოფილია უმაღლესი კატეგორიის ქართველი და ფრანგი პროფესორით.

კრედიტების ურთიერთალიარების საფუძველზე სტუდენტი მიიღებს პარიზის ჟურნალიზმის უმაღლესი სკოლისა და გრიგოლ რობაქიძის უნივერსიტეტის **სოციალურ მეცნიერებათა მაგისტრის აკადემიურ ხარისხსა და დიპლომს.**

პარიზის ჟურნალიზმის უმაღლესი სკოლა ერთ-ერთი უძველესია საფრანგეთში. ის დაარსდა ორი საუკუნის წინ, 1895 წელს და აღიარებულია ჟურნალისტური კადრების აღზრდის მძლავრ კერად.

**სწავლა ინგლისურ ენაზეა, სურვილის შემთხვევაში - ფრანგულად.**

საფრანგეთში სწავლისას სტუდენტს შეუძლია აირჩიოს მოდულები, როგორც **მედიის, ისე საზოგადოებასთან ურთიერთობის მიმართულებით.**

**სწავლის საზღაური** ჩვენი უნივერსიტეტისთვის განისაზღვარა სპეციალური ტარიფით და, მთლიანობაში, შეადგინა წელიწადში 3250 ევროს ექვივალენტი ეროვნული ვალუტით, ხოლო იმ შემთხვევაში თუ სტუდენტი, საკუთარი სურვილით, არ განაგრძობს სწავლას საფრანგეთში, სწავლის საზღაური განისაზღვრება წელიწადში 4500 ლარის ოდენობით. აღსანიშნავია, რომ თუ სტუდენტი მხოლოდ საქართველოში განახორციელებს სასწავლო აქტივობას, მას მიენიჭება გრიგოლ რობაქიძის უნივერსიტეტის **სოციალურ მეცნიერებათა მაგისტრის აკადემიურ ხარისხი** და გადაეცემა **ქართულ-ფრანგული ერთობლივი პროგრამის** დასრულების დამადასტურებელი დიპლომი.